ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 22

27 ივლისი, 2023 წელი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

დიმიტრი ქართლელიშვილი

გოჩა ფერაძე

გურამ აბრამიშვილი

ლელა ნიჟარაძე

ერეკლე საღლიანი

ფლორა მილორავა

მარინა ებრალიძე

სულხან წოწკოლაური

დათო ციმაკურიძე

მარიამ იოსელიანი

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ნასახლარის ქუჩისთვის ლაშარელას სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, უდაბნოს მონასტრის III შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ისტორიკოსის მიხეილ გაფრინდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ნატალია სამქანაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, თეთრიწყაროს ქუჩის გაგრძელების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში,მელაანის I შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის სპორტსმენის დავით ციმაკურიძის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სამგორის ქუჩისთვის და ციხისძირის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის ლეო და ნოდარ გაბუნიების სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი ჩიხისთვის მსახიობის ნინო დავითაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის მომღერლის მაია თომაძის სახელის მინიჭების შესახებ

10. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, სანდრო ახმეტელის ქუჩისთვის მსახიობის თამარ სხირტლაძის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში აკაკი ვასაძის ქუჩისთვის რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის ქუჩისთვის და „დ" ქუჩისთვის მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთისთვის და გიორგი ჩიტაიას ჩიხისთვის ილუზიონისტის ზურაბ ვადაჭკორიას სახელის მინიჭების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის ბოჭორმის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის, მნათობის ქუჩის მონაკვეთისთვის, პეტრე ბაგრატიონის ქუჩის მონაკვეთისთვის, პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთისთვის, მნათობის ჩიხის მონაკვეთისთვის მწერლის ზაირა არსენიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მნათობის ჩიხის ორი მონაკვეთისთვის მნათობის I და II ჩიხების სახელის მინიჭების შესახებ
17. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ორხევის ქუჩისთვის და ორხევის I გასასვლელისთვის დრამატურგის გია ბადრიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
18. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სვანეთის ხევის ქუჩისთვის და შალვა ცინცაძის I შესახვევისთვის საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ნიჟარაძის სახელის მინიჭების შესახებ
19. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სანერგეს ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის, შესახვევებისთვის და გასასვლელებისთვის სპორტსმენის გიორგი სხირტლაძის სახელის მინიჭების შესახებ
20. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით ჭიჭინაძის ქუჩისთვის რეჟისორის ზაზა ურუშაძის სახელის მინიჭების შესახებ
21. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირთან არსებული უსახელო სკვერისთვის რეჟისორის გიზო ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ
22. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ასი ათასი მოწამის სახელობის ქუჩის გაგრძელების, მიხა ხელაშვილის ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევებისთვის ასი ათასი მოწამის I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
23. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნორიოს აღმართისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
24. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
25. ქალაქ თბილიში, ნაძალადევის რაიონში აბესალომ ვეკუას ქუჩის გაგრძელების შესახებ.
26. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, რკინიგზის ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელის მინიჭების შესახებ
27. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, გარეკახეთის ქუჩისთვის ხელოვნებათმცოდნე გურამ აბრამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

28. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ფარიხან სოფიევას სახელის მინიჭების შესახებ
29. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრთან არსებული სკვერისთვის მწერლისა და დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანის სახელის მინიჭების შესახებ
30. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩისთვის ენათმეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელის მინიჭების შესახებ
31. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ტრანსპორტის ქუჩისთვის პოეტის, ფილოლოგის ანზორ აბულაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
32. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელის მინიჭების შესახებ
33. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული II შესახვევისთვის აკადემიკოს გივი ცინცაძის სახელის მინიჭების შესახებ
34. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნაძვების ქუჩის მონაკვეთისთვის ნაძვების I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
35. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, თიანეთის გზატკეცილის მონაკვეთისთვის მომღერლის ლევან კბილაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
36. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის შმაგი ხაიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი.

1. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ნასახლარის ქუჩისთვის ლაშარელას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი. კომისიაში შემოსულია მოქალაქე ნელი პირველის განცხადება, რომლითაც ნასახლარის ქუჩის მაცხოვრებლები ითხოვენ ტაბახმელაში, ნასახლარის ქუჩას შეეცვალოს სახელი.

როგორც დადგინდა ნასახლარის ქუჩა მთაწმინდის რაიონში გვაქვს ოქროყანაშიც, შესაბამისად ცვლილება მიზანშეწონილია. კომისიამ თამარ მეფის და ლაშა გიორგის კონტექსტში შეარჩია ლაშარელას სახელი. საჯარო განხილვის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქუჩის მაცხოვრებლებმა. მათ გააჟღერეს ინიციატივა, რომ კომისიას 'ლაშარელას" გარდა შეეთავაზებინა ქუჩის სახელის სხვა ალტერნატივებიც. კომისიამ ერთ-ერთ სახელად შესთავაზა საქართველოს პირველი საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის, დამფუძნებელი კრების წევრის, პავლე საყვარელიძის სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ნასახლარის ქუჩას მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის პავლე საყვარელიძის სახელი.

2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, უდაბნოს მონასტრის III შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ისტორიკოსის მიხეილ გაფრინდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს მეორე საკითხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. კომისიაში შემოსულია მოქალაქე ვახტანგ შამანაურის (გია ჯაველიძის მინდობილი პირი) განცხადება, რომელიც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. აგრეთვე კომისიაში შემოსულია მოქალაქე ნათელა კაპანაძის წერილი, რომელიც გვიგზავნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელთა და მეცნიერ თანამშრომელთა წერილს, რომლითაც ითხოვენ თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის, ისტორიკოსის მიხეილ გაფრინდაშვილის სახელი.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული ტერიტორია. უსახელო ქუჩა მდებარეობს ქომიგორაზე, უდაბნოს მონასტრის III შესახვევთან, ქუჩასთან განვითარებულია ერთი ჩიხი.

მიხეილ გაფრინდაშვილის ბიოგრაფიის შესწავლის შემდგომ, კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა, დედაქალაქში არსებობდეს საზოგადო მოღვაწის, მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ქუჩა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეორე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ქომიგორაზე, უდაბნოს მონასტრის III შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს ისტორიკოსის მიხეილ გაფრინდაშვილის სახელი.

3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ნატალია სამქანაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი განიხილა. კომისიაში შემოსულია მოქალაქე დავით ბოჭორიშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს დიდ ლილოში, ლევან დევდარიანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ნატალია სამქანაშვილის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მესამე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, გაგრძელდეს ნატალია სამქანაშვილის ქუჩა.

4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, თეთრიწყაროს ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე ვახტანგ ალადაშვილის მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით, ტერიტორიის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, თეთრიწყაროს ქუჩასთან. ქალაქგეგმარების თვალსაზრისით შესაძლებელია მოხდეს ქუჩის გაგრძელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში გაგრძელდეს თეთრიწყაროს ქუჩა.

5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში,მელაანის I შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის სპორტსმენის დავით ციმაკურიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო მეხუთე საკითხი. კომისიაში შემოსულია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ლერი ხაბელოვის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს სახელოვანი ფალავანის, პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის დავით ციმაკურიძის სახელი.

იგივე მოთხოვნით, 2022 წლის 19 მაისს კომისიაში შემოსულია მოქალაქე დავით ციმაკურიძის განცხადება.

მ/წლის 3 თებერვალს კომისიაში შემოსულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის უფროსის, ნინო ბახიას წერილი გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის სახელდებასთან დაკავშირებით, რათა შემდგომში განხორციელდეს ქუჩის ნუმერაცია.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხები. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მელაანის I შესახვევი და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ერთ დამოუკიდებელ ქუჩად.

დავით ციმაკურიძემ ქართულ სპორტს გზა გაუკვალა უმაღლესი ოლიმპიური მწვერვალისკენ. იგი იყო პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი.

კომისიამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ გადაწყვეტილებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, მელაანის I შესახვევს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს სპორტსმენის დავით ციმაკურიძის სახელი.

6. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სამგორის ქუჩისთვის და ციხისძირის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ჯაბა სამუშიას წერილი, რომლითაც ითხოვს დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ვარლამ ჩერქეზიშვილის ბიოგრაფიის შესწავლის შემდეგ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია თბილისში არსებობდეს მისი სახელობის ქუჩა. კომისიაში არსებული ინფორმაციით, ისნის რაიონში მდებარეობს სამგორის ქუჩა, რომელიც არ წარმოადგენს ტოპონიმურ სახელწოდებას და კავშირი არა აქვს ისანთან. შესაბამისად სახელის გადარქმევა მიზანშეწონილია. კომისიის წარმომადგენლებმა რაიონის მაჟორიტართან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელთან ერთად ადგილზე მოახდინეს ქუჩის დათვალიერება.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ისნის რაიონში, სამგორის ქუჩას და ციხისძირის მონაკვეთს მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის ქუჩის სახელი.

აზრი გამოთქვა: სხდომაზე დამსწრე პირმა, გოჩა ფერაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით მადლობა გადაუხადა კომისიას ვარლამ ჩერქეზიშვილის ღვაწლის

დაფასებისთვის. მან ისაუბრა ვარლამ ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. გოჩა ფერაძემ აღნიშნა, რომ საგარეჯოში, სოფელ თოხლიაურში, სკოლას და ქუჩას დაერქვა მისი სახელი. ფილმ „ფესვების“ მთავარი გმირის პროტოტიპი სწორედ ვარლამ ჩერქეზიშვილია. იგი 75 წლის ასაკში იუნკერების გვერდით იდგა და საქართველოს თავისუფლებას იცავდა. იყო უზომოდ განათლებული. თარგმნიდა ჩინურად და იაპონურად. ყავდა ფრანგი მეუღლე, სიკვდილის წინ დაავიწყდა ყველა ენა, გარდა მშობლიური ქართულისა. გოჩა ფერაძემ აღნიშნა, რომ მისი ფერფლი ლონდონში ინახება და დიდი სურვილი აქვს ვარლამ ჩერქეზიშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავზე _ 2025 წელს, მისი ფერფლი დააბრუნონ საქართველოში.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეექვსე საკითხს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, სამგორის ქუჩას და ციხისძირის მონაკვეთს მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელი

7. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის ლეო და ნოდარ გაბუნიების სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას რომლითაც ითხოვს ვაკის რაიონში, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტები მდებარეობს ლეო და ნოდარ გაბუნიების ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოანდენს ქუჩის შესახვევებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ლეო და ნოდარ გაბუნიების სახელი.

8. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი ჩიხისთვის მსახიობის ნინო დავითაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი გააცნო. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მომართვის საფუძველზე ითხოვს ბარალეთის ქუჩისა და შესახვევების დამისამართებას.

ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა რომ ბარალეთის ქუჩა იყოფა სხვადასხვა მიმართულებით და აქვს ერთგვარი ქსელური ხასიათი, რაც შეუძლებელს ხდის თანამედროვე

სტანდარტების შესაბამის დამისამართებას, ვინაიდან ქუჩას არ აქვს ერთი დასაწყისი და დასასრული. ქუჩასთან განვითარებულია სამი ჩიხი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ სამ ჩიხს მიენიჭოს მსახიობის ნინო დავითაშვილის სახელი.

ქუჩისთვის ნინო დავითაშვილის სახელი შეირჩა კომისიის ინიციატივით. ნინო დავითაშვილი იყო მსახიობი. სამსახიობო კარიერა დაიწყო ავჭალის თეატრიდან, შემდგომ იყო ქუთაისის თეატრის მსახიობი. ნინო დავითაშვილის სახელი მოძიებული იქნა გენდერული პოლიტიკის კონტექსტში, იყო ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თანადროული, არის საქართველოს სახალხო არტისტი. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ავჭალაში არსებობდეს მისი სახელობის ქუჩა

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ სამ ჩიხს მიენიჭოს მსახიობის ნინო დავითაშვილის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის მომღერლის მაია თომაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მომართვის საფუძველზე ითხოვს გუჯარეთის II ქუჩასთან მდებარე გეოგრაფიული ობიექტის დამისამართებას.

კომისიაში ასევე შემოსულია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას

წერილი, რომელიც გვიგზავნის თენგიზ თომაძის წერილს, რომლითაც ითხოვს ოპერის მომღერლების პეტრე, სანდრო და მაია თომაძეების სახელის მინიჭებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ გუჯარეთის II ქუჩის მიმდებარედ მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტი ვერ დამისამართდება, რადგან ქუჩას არ აქვს აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი - ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული წერტილი. აქედან გამომდინარე, კომისიას გამართლებულად მიაჩნია, რომ გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთი და უსახელო ქუჩა გაერთიანდეს ერთ დამოუკიდებელ ქუჩად, ხოლო გუჯარეთის II ქუჩის ნაწილი და ერთი უსახელო მონაკვეთი ყალიბდება ჩიხებად.

მაია თომაძის ბიოგრაფიის შესწავლის შემდეგ, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ თბილისში არსებობდეს მისი სახელობის ქუჩა. იგი იყო მომღერალი და სახალხო არტისტი, საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელმომწერი საზოგადო მოღვაწე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მომღერლის მაია თომაძის სახელი.

10. **ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, სანდრო ახმეტელის ქუჩისთვის მსახიობის თამარ სხირტლაძის სახელის მინიჭების შესახებ.**
11. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში აკაკი ვასაძის ქუჩისთვის რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახელის მინიჭების შესახებ.**
12. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის ქუჩისთვის და „დ" ქუჩისთვის მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ.**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიას განსახილველად წარუდგინა მომდევნო სამი საკითხი. მისი ინფორმაციით ეს სამი საკითხი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, დასაზუსტებელია გარკვეული დეტალები და მიზანშეწონილია საკითხებზე მსჯელობა კონსულტაციების დასრულების და რიგი გარემოებების დაზუსტების შემდგომ.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭი უყარა აღნიშნული საკითხების გადადებას.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: აღნიშნული სამი საკითხი ამოღებული იქნა დღის წესრიგიდან.

13. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთისთვის და გიორგი ჩიტაიას ჩიხისთვის ილუზიონისტის ზურაბ ვადაჭკორიას სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია პარლამენტის წევრის რამინა ბერაძის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს მოქალაქე მირანდა ვადაჭკორიას. იგი ითხოვს ჩუღურეთის რაიონში რომელიმე ქუჩას მიენიჭოს ილუზიონისტის ზურაბ ვადაჭკორიას სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. შეისწავლა ილუზიონისტ ზურაბ ვადაჭკორიას ბიოგრაფია, რომელიც იყო ილუზიონიზმის თანამედროვე კულტურის დამფუძნებელი საქართველოში, აშშ-ის საერთაშორისო ილუზიონისტთა კლუბის წევრი, საქართველოს ილუზიონისტთა კლუბის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ღირსების ორდენის კავალერი.

საკითხის შესწავლის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი წევრი ზურაბ ჩიკვილაძე და საქართველოს პარლამენტის წევრი რამინა ბერაძე. მათი ინიციატივით განხორციელდა ქუჩის შერჩევა. ტერიტორია მდებარეობს ე.წ. მალაკნების ხიდის მიმდებარედ და არაა ჩიტაიას ქუჩის ლოგიკური გაგრძელება.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთს და გიორგი ჩიტაიას ჩიხს მიენიჭოს ილუზიონისტის ზურაბ ვადაჭკორიას სახელი.

14. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის ბოჭორმის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც დავით ბადრიძის მიმართვის საფუძველზე და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ბოჭორმის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო ჩიხს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხს მიენიჭოს ბოჭორმის I ჩიხის სახელი.

15. **ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის, მნათობის ქუჩის მონაკვეთისთვის, პეტრე ბაგრატიონის ქუჩის მონაკვეთისთვის, პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთისთვის, მნათობის ჩიხის მონაკვეთისთვის მწერლის ზაირა არსენიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.**
16. **ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მნათობის ჩიხის ორი მონაკვეთისთვის მნათობის I და II ჩიხების სახელის მინიჭების შესახებ.**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიისთვის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის უფროსის, ნინო ბახიას მომართვის საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ ნუმერაციის განხორციელების პრობლემები არსებობს ჩუღურეთის რაიონში, მნათობის ქუჩის ტერიტორიაზე. კომისიამ საკითხის შესწავლის პროცესში და სამისამართო სამსახურთან ზეპირი კომუნიკაციისას დაადგინა, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე ასევე პრობლემურია ოთარ ჩეჩელაშვილის, პეტრე ბაგრატიონის, პაატა სააკაძის ქუჩების გარკვეული მონაკვეთები.

ხსენებული ქუჩების მონაკვეთების ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით გაერთიანების ხარჯზე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ჩამოყალიბებულ ახალ ქუჩას მიენიჭოს მწერალ ზაირა არსენიშვილის სახელი, პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ზაირა არსენიშვილის I ჩიხის სახელი, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩასთან მდებარე ორ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ზაირა არსენიშვილის I და II ჩიხის სახელი, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთს და მნათობის ჩიხის მონაკვეთს მიენიჭოს ზაირა არსენიშვილის I შესახვევის სახელი, ხოლო ჩუღურეთის რაიონში, მნათობის ჩიხის ორ მონაკვეთს მიენიჭოს მნათობის I და II ჩიხის სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხები.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთს, მასთან არსებულ უსახელო ქუჩას, მნათობის ქუჩის მონაკვეთს, პეტრე ბაგრატიონის ქუჩის მონაკვეთს, პაატა საკაძის ქუჩის მონაკვეთს, და მნათობის ჩიხის მონაკვეთს მიენიჭოს მწერლის ზაირა არსენიშვილის სახელი.

ჩუღურეთის რაიონში, მნათობის ჩიხის ორ მონაკვეთს მიენიჭოს მნათობის I და II ჩიხების სახელი.

17. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ორხევის ქუჩისთვის და ორხევის I გასასვლელისთვის დრამატურგის გია ბადრიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქანდაკე გია ჯაფარიძის, მხატვრის თემო გოცაძის, სახალხო არტისტის ჟანრი ლოლაშვილის და სხვათა ერთობლივი განცხადება, რომლითაც ითხოვენ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს დრამატურგის გია ბადრიძის სახელი.

გია ბადრიძე იყო სცენარისტი, დრამატურგი, მსახიობი. გახლდათ თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისი რედაქტორობით გამოვიდა ფილმები : „დათა თუთახშია,“, „ჩიორა“, „ძველი ვალსი“, „ბაგრატიონი“ და სხვა.

ორხევის ქუჩა ასევე არსებობს სამგორის რაიონში, ორხევის დასახლებაშიც მას შემდეგ რაც ორხევის დასახლება თბილისს შემოუერთდა მიზანშეწონილია ჩუღურეთში მდებარე ორხევის ქუჩის სახელის ცვლილება.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, ორხევის ქუჩას და ორხევის I გასასვლელს მიენიჭოს დრამატურგის გია ბადრიძის ქუჩის სახელი

18. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სვანეთის ხევის ქუჩისთვის და შალვა ცინცაძის I შესახვევისთვის საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ნიჟარაძის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე ლელა ნიჟარაძის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ნიჟარაძის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ბესარიონ ნიჟარაძის ბიოგრაფია. იგი გახლდათ პუბლიცისტი, სვანეთის ისტორიის, ენისა და ეთნოგრაფიის მკვლევარი, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი და მეგობარი. როგორც ცნობილია, ბესარიონ ნიჟარაძე ილია ჭავჭავაძის დავალებით წლების განმავლობაში მუშაობდა „ქართულ-სვანურ-რუსულ" ლექსიკონზე, რომელიც დათარიღებულია 1888 წლით. მან არაერთი უნიკალური ხელნაწერი და ხელოვნების ძეგლი გადაარჩინა და შემოუნახა შთამომავლობას, მათ შორის „ადიშის ოთხთავი" და „იერუსალიმის კანონარი".

კომისიის სხდომაზე იმსჯელეს და დაინტერესებულ პირს ლელა ნიჟარაძეს ალტერნატიულ ვარიანტად შესთავაზეს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ალექსანდრე წურწუმიას ქუჩის და სვანეთის ხევის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიები. მიღებული იქნა გადაწყვეტილება ბესარიონ ნიჟარაძის სახელი მიენიჭოს ისნის რაიონში ალექსანდრე წურწუმიას შესახვევს და დედოფლისწყაროს I შესახვევს. ხსენებული შესახვევები ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს დამოუკიდებელ ქუჩას და მიზანშეწონილია მათი ქუჩად ჩამოყალიბება.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები ლელა ნიჟარაძე და ერეკლე საღლიანი,. მათ მადლობა გადაუხადეს კომისიას ბესარიონ ნიჟარაძის ღვაწლის დაფასებისთვის.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთვრამეტე საკითხის შეცვლილი ვარიანტი.

მომხრე -ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ალექსანდრე წურწუმიას შესახვევს და დედოფლისწყაროს I შესახვევს მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ნიჟარაძის ქუჩის სახელი.

19. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სანერგეს ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის, შესახვევებისთვის და გასასვლელებისთვის სპორტსმენის გიორგი სხირტლაძის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიამ ბოლო პერიოდში ინტენსიურად დაიწყო სახელწოდებების დაზუსტება და ცვლილებები ნაძალადევის რაიონში, კომისიის მიერ დამუშავებული მონაცემებით ნაძალადევის რაიონში არსებული სანერგე მეურნეობის კონტექსტში ქუჩას ეწოდა სანერგის ქუჩა, სახელი ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნება მიჩნეული ტოპონიმურ სახელწოდებად, ნაძალადევში არსებულ სახელებთან კომპლექსური შედარებით სანაერგის ქუჩა უფრო ინდუსტრიალიზაციის, მექანიზაციისა და კოლექტივიზაციის საბჭოთა პოლიტიკის პოპულარიზაციის მცდელობად აღიქმება. ვინაიდან ამ უბანში ცხოვრობდა გიორგი სხირტლაძე მაჟორიტართან კონსულტაციით შეირჩა სახელი, მაგრამ იმის გამო რომ დეტალები დასაზუსტებელია და მოსახლეობასთან დამატებითი კონსულტაციებია საჭირო, კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის ამოღებას დღის წესრიგიდან.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: აღნიშნული საკითხი ამოღებულ იქნას დღის წესრიგიდან.

20. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით ჭიჭინაძის ქუჩისთვის რეჟისორის ზაზა ურუშაძის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეოცე საკითხი. კომისია აგრძელებს თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების პროცესის მონიტორინგს და ისეთი სახელების რეესტრის წარმოებას, სადაც მიზანშეწონილია ცვლილების განხორციელება.

დავით ჭიჭინაძის ქუჩა მდებარეობს ნაძალადევის რაიონში. ყოფილ საზეინკლო ქუჩას ნოვატორი მჭედლისა და პარტიული მუშაკის, დავით ჭიჭინაძის სახელი გასული საუკუნის 70-იან წლებში ეწოდა.

ქართველი კინორეჟისორი და სცენარისტი ზაზა ურუშაძე 2002-2004 წლებში იყო საქართველოს კინოცენტრის დირექტორი. 2013 წლის 8 მაისიდან 2019 წლის 11 სექტემბრამდე საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტი.

2013 წელს გამოვიდა მის მიერ გადაღებული ესტონურ-ქართული პროდუქცია „მანდარინები". ფილმი ნომინირებული იყო ოქროს გლობუსის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ჯილდოზე. ასევე ნომინირებული იყო ოსკარი საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში.

ხსენებული გარემოების და სახელდების განხორციელების მარეგულირებელი პრინციპების გათვალისწინებით, კომისია მიიჩნევს, რომ ნაძალადევის რაიონში, დავით ჭიჭინაძის ქუჩას უნდა მიენიჭოს რეჟისორის ზაზა ურუშაძის სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, დავით ჭიჭინაძის ქუჩას მიენიჭოს რეჟისორის ზაზა ურუშაძის სახელი.

21. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირთან არსებული უსახელო სკვერისთვის რეჟისორის გიზო ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის გიორგი გეგეჭკორის განცხადება, რომლითაც ითხოვს რომელიმე ბაღს ან სკვერს მიენიჭოს რეჟისორ გიზო ჟორდანიას სახელი.

გიზო ჟორდანია ქართველი რეჟისორი, პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი გახლდათ. იმის გარდა, რომ ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას, გიზო ჟორდანია ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა დრამატული თეატრისა და ოპერის პრობლემებზე. დადგმული აქვს 100-ზე მეტი სპექტაკლი საქართველოში და საზღვარგარეთ;

1999 წელს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში შეტანილი დიდი წვლილის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

კომისიამ სახელდებისთვის შეარჩია წერეთლის გამზირთან არსებული უსახელო სკვერი. სახელდებასთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართა როგორც ოჯახის წევრებთან, ასევე პროფესიულ საზოგადოებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს რეჟისორის გიზო ჟორდანიას სახელი.

22. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ასი ათასი მოწამის სახელობის ქუჩის გაგრძელების, მიხა ხელაშვილის ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევებისთვის ასი ათასი მოწამის I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

23. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნორიოს აღმართისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

მოიემინეს:

ნინო ვარდოსანიძემ განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო ორი საკითხი. მისი ინფორმაციით ოცდამეორე და ოცდამესამე საკითხები გამომდინარეობს ერთმანეთიდან. კომისიაში შემოვიდა მიხა ხელაშვილის საზოგადოების განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ეროვნული გმირის სახელის დარქმევა შედარებით ცენტრალური და დიდი ქუჩისთვის. კომისიამ შეისწავლა გარემოებები, მიხა ხელაშვილის ქუჩა მდებარეობს აღმაშენებლის ხეივნის მიმდებარედ, არის დაახლოებით 200 მეტრი. სახელდების დროს არსებობდა ქუჩის განვითარების პერსპექტივა, თუმცა არსებული ნაკვეთების ანალიზით დღეს ეს პერსპექტივა აღარ არის. კომისიის მოსაზრებაა აღმაშენებლის ხეივნამდე გაგრძელდეს ასი ათასი მოწამის ქუჩა, მიხა ხელაშვილის ქუჩა ჩამოყალიბდეს ამ ახალი ქუჩის შესახვევად. რაც შეეხება მიხა ხელაშვილის სახელის დარქმევას, ჩვენი ინიციატივაა მისი სახელი მიენიჭოს ნორიოს აღმართს, მომავალში არსებობს ლოგიკური პერსპექტივა ქუჩა გაგრძელდეს ბოლომდე, დაახლოებით მახათას აღმართამდე.

სხდომას ესწრებოდნენ მიხა ხელაშვილის ქუჩის მაცხოვრებლები. მათი განცხადებით, ქუჩის სახელდება 2008 წელს განხორციელდა. ინიციატორები იყვნენ ხსენებულ ქუჩაზე მაცხოვრებელი მოქალაქეები. მათი განცხადებით ეს სახელწოდება სიმბოლური დატვირთვის მატარებელია. მათი მოსაზრებით შესაძლებელია ხსენებულ ქუჩასთან არსებულ მთავარ გზას მიენიჭოს მიხა ხელაშვილის სახელი, ხოლო მათი ქუჩა ჩამოყალიბდეს აღნიშნული გზის შესახვევად.

ნინო ვარდოსანიძემ დამსწრე საზოგადოებას მოსაზრების დაფიქსირება სთხოვა, საკითხის განხილვის გადადების და რიგი გარემოებების სრულფასოვნად გამოკვლევის მიზნით.

მხარეებმა გაითვალისწინეს კომისიის თავმჯდომარის მოსაზრება და კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ოცდამეორე და ოცდამესამე საკითხების დღის წესრიგიდან ამოღებას.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: აღნიშნული საკითხები სრულფასოვნად გამოკვლევის მიზნით ამოღებულ იქნა დღის წესრიგიდან..

24. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის ვახტანგ მეიფარიანის წერილი, რომლითაც ფედერაციის სახელით ითხოვს ხელბურთის განვითარებაში მისი დამსახურებისა და ღვაწლის დასაფასებლად, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ჯემალ ცერცვაძის სახელი.

კომისიამ შეისწავლა ჯემალ ცერცვაძის ბიოგრაფია. იგი იყო ჩემპიონი. ფენომენალური ტექნიკისა და მეტოქეთათვის ამოუცნობი ტყორცნების გამო შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატზე „ხელბურთის პელედ" მონათლეს. ყოფილ სსრკ სივრცეში პირველმა დააარსა ოლიმპიური რეზერვების ხელბურთის სპეციალიზებული სკოლა, რომელიც მის სახელს ატარებს. ჩუღურეთის რაიონში იცვლება ივანე მიჩურინის სახელობის ქუჩა. ივანე მიჩურინი იყო რუსი ბიოლოგი, მისი კავშირი საქართველოსთან გამოიხატება კოლმეურნეობებში მის მიერ გამოყვანილი ხილის ჯიშების გავრცელებით. ქუჩა სახელის ცვლილებასთან ერთად საჭიროებს ქალაქგეგმარებით დაზუსტებასაც, ერთი ქუჩის გეგმარებითი გამიჯვნით ყალიბდება სამი ქუჩა.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს ჯემალ ცერცვაძის სახელობის ქუჩა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის ქუჩის სახელი.

25. ქალაქ თბილიში, ნაძალადევის რაიონში აბესალომ ვეკუას ქუჩის გაგრძელების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო ოცდამეხუთე საკითხი. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს აბესალომ ვეკუას ქუჩასთან მდებარე გეოგრაფიული ობიექტის დამისამართებას.

როგორც ცნობილია, საკრებულოს 2015 წელს ნიკოლოზ შენგელაიას ქუჩას მიენიჭა აბესალომ ვეკუას სახელი. საკითხის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ სამისამართო რეესტრში არსებული ნიკოლოზ შენგელაიას ქუჩის გეოგრაფიული მოხაზულობა არ არის თანხვედრაში ზემოხსენებული განკარგულებით განსაზღვრულ აბესალომ ვეკუას ქუჩის მოხაზულობასთან.

კომისიის მიერ ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია აბესალომ ვეკუას ქუჩის გაგრძელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში გაგრძელდეს აბესალომ ვეკუას ქუჩა

26. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, რკინიგზის ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელის მინიჭების შესახებ.

მოიმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების მონაწილეთა საინიციატივო ჯგუფის წევრების დიმიტრი ქართველიშვილის, ბესიკ ონიანის, ირაკლი ალადაშვილის და სხვების წერილი, რომლითაც ითხოვენ დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელი.

ავთანდილ იოსელიანმა, 1992 წლის 26 ოქტომბერს, ქალაქ ოჩამჩირეში, თანამებრძოლების გარემოცვაში, სადაც ტყვედ აყვანილი მოწინააღმდეგეები იმყოფებოდნენ, ხელყუმბარა სხეულით დაფარა და საკუთარი სიცოცხლის ფასად, გარშემო მყოფები სიკვდილს გადაარჩინა. 2019 წლის 17 ნოემბერს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

ავთანდილ იოსელიანი ასევე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

კომისიის მიერ შერჩეულია ნაძალადევის რაიონში ცოტნე დადიანის ქუჩასთან არსებული რკინიგზის ქუჩა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, რკინიგზის ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელი.

27. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, გარეკახეთის ქუჩისთვის ხელოვნებათმცოდნე გურამ აბრამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია გურამ აბრამიშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს გარეკახეთის ქუჩისთვის სახელის ცვლილებას და ხელოვნებათმცოდნე გურამ აბრამიშვილის სახელის მინიჭებას.

გურამ აბრამიშვილი იყო ხელოვნებათმცოდნე, ქართული ხელოვნების ისტორიის, საქართველოს ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, არქეოლოგიის, პალეოგრაფიის მკვლევარი. მის სახელს უკავშირდება. საქართველოში ეროვნული იკონოგრაფიის წარმოშობა-განვითარების პრობლემატიკის საგანგებო კვლევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გურამ აბრამიშვილის წვლილი ატენის სიონის კვლევის საქმეში. გურამ აბრამიშვილის ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით შესაძლებელი გახდა უძველესი ტიხრული მინანქრის დაკარგული ტექნოლოგიური პროცესების აღდგენა.

კომისიამ გაითვალისწინა გარეკახეთის ქუჩის მაცხოვრებელთა თხოვნა და კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

აზრი გამოთქვა: სხდომაზე დამსწრე პირმა გურამ აბრამიშვილმა(შვილიშვილი) მადლობა გადაუხადა კომისიას გურამ აბრამიშვილის ღვაწლის დაფასებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, გარეკახეთის ქუჩას მიენიჭოს ხელოვნებათმცოდნე გურამ აბრამიშვილის სახელი.

28. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ფარიხან სოფიევას სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნინო წულაძის და სამოქალაქო აქტივისტის სამირა ბაირამოვას წერილები, რომლითაც ითხოვენ დედაქალაქის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის ფარიხან სოფიევას სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ფარიხან სოფიევას ბიოგრაფია.

თბილისის მაზრის ერობის წევრი ფარიხან სოფიევა იყო ყარაჯალარიდან. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ფარიხან სოფიევა გახდა ეროვნული კრების დამოუკიდებელი წევრი, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ის საქართველოს პარლამენტში აირჩიეს. ასე გახდა ცნობილი ისტორიისთვის პირველი ქალი დეპუტატი მუსლიმური სამყაროდან.

ცნობილია, რომ ერობის წევრობისას მან მშობლიურ სოფელში რკინიგზის სადგურის აშენებას ჩაუყარა საფუძველი.

კომისიამ სახელდებისთვის შეარჩია მარნეულის გზატკეცილთან უსახელო ქუჩა, ქუჩასთან განვითარებულია ოთხი შესახვევი.

საკითხის შესწავლის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას, მასთან არსებულ ოთხ შესახვევს მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის ფარიხან სოფიევას სახელი.

29. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრთან არსებული სკვერისთვის მწერლისა და დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანის სახელის მინიჭების შესახებ.

30 ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩისთვის ენათმეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის გადაწყვეტილებით, მიმდინარეობდა საქმისწარმოების პროცესი, თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრთან არსებული უსახელო სკვერისთვის გაბრიელ სუნდუკიანის სახელის მინიჭების მიზნით.

გაბრიელ სუნდუკიანმა-კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელმა სომხურ ლიტერატურაში ლიტერატურული საქმიანობა 60-იან წლებში დაიწყო. მისი მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული სომხურ თეატრთან, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორიც თვითონ იყო. გაბრიელ სუნდუკიანი წერდა ძირითადად სომხური ენის თბილისურ დიალექტზე, ფართოდ იყენებდა თბილისურ ფოლკლორს. ყოველივე ამან განაპირობა მისი ენის თავისებურება. მისი სახელი მინიჭებული აქვს ერევნის დრამატულ თეატრს.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ისნის რაიონში, პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრთან არსებულ სკვერს, მიენიჭოს მწერლისა და დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანის სახელი.

კომისიაში ასევე შემოსულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძის წერილი, რომლითაც აკადემიის პრეზიდიუმის სახელით ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელი.

გაბრიელ სუნდუკიანის სკვერის სახელდების შემდგომ გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩას, რომელმაც ამ სახელით ვერ დაიმკვიდრა თავი თბილისის ურბანულ გარემოში, მიენიჭება თამაზ გამყრელიძის სახელი. საკითხს აქვს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერაც.

თამაზ გამყრელიძე 2005–2013 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრ , ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს აღნიშნული სახელდებები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხები

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრთან არსებულ სკვერს, მიენიჭოს მწერლისა და დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანის სახელი.

ჩუღურეთის რაიონში გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩას მიენიჭოს ენათმეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელი

31. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ტრანსპორტის ქუჩისთვის პოეტის, ფილოლოგის ანზორ აბულაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე მაყვალა ფუტკარაძის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს პოეტის, ფილოლოგის ანზორ აბულაშვილის სახელი.

ანზორ აბულაშვილი იყო პოეტი და ფილოლოგი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი. ლექსების წერა ადრეულ ასაკში დაიწყო. 1961 წელს ჟურნალმა „ნაკადულმა" გამოსცა ანზორ აბულაშვილის ლექსების პირველი წიგნი, ანზორ აბულაშვილის ლექსმა „მახარობელი", რომელსაც წილად ხვდა სახალხო აღიარება და სიყვარული, თავისი ადგილი დაიმკვიდრა პოეზიაში. ანზორ აბულაშვილი ავტორია მრავალი საბავშვო ლექსისა.

1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: დიდუბის რაიონში, ტრანსპორტის ქუჩას მიენიჭოს პოეტის, ფილოლოგის ანზორ აბულაშვილის სახელი.

32. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ნანა ხაზარაძის ბიოგრაფია. ნანა ხაზარაძე იყო ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის კონსულტანტი და რედკოლეგიის წევრი; ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე; ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის წევრი; ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო საბჭოს წევრი; კავკასიის ხალხთა ისტორიის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. ასევე იყო მწიგნობართა ასოციაციის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზაციის თავმჯდომარე .

მინიჭებული აქვს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით და ექვთიმე თაყაიშვილისა და გიორგი მელიქიშვილის სახელობის პრემიებით, 2012-2019 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელი.

33. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული II შესახვევისთვის აკადემიკოს გივი ცინცაძის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აკადემიკოს გივი ცინცაძის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. გივი ცინცაძე იყო ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი. მისმა სამეცნიერო შრომებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. მის მიერ აღზრდილია სამოცდაათზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებში.

გივი ცინცაძე იყო საქართველოს ეროვნული აკადემიის საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის, გიორგი ნიკოლაძის მედლის მფლობელი, დაჯილდოებულია ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის ვერცხლის მედლით, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების მედლით "მეცნიერებაში მიღწეული წარმატებისათვის". მიღწევებისა და რეგალიების ეს არასრული ჩამონათვალი მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელობის აღიარების დასტურია.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს გივი ცინცაძის სახელობის ქუჩა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ II შესახვევს მიენიჭოს აკადემიკოს გივი ცინცაძის სახელი.

34. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნაძვების ქუჩის მონაკვეთისთვის ნაძვების I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ნაძვების ქუჩის მაცხოვრებლების მომართვის საფუძველზე ითხოვს მითითებული საკადასტრო ერთეულების მიხედვით მისამართების დაზუსტებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. მითითებული საკადასტრო ერთეულების მიხედვით ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნაძვების ქუჩის მონაკვეთი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს როგორც ნაძვების შესახვევი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ნაძვების ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ნაძვების I შესახვევის სახელი.

35. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, თიანეთის გზატკეცილის მონაკვეთისთვის მომღერლის ლევან კბილაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე ლილი ქორთოშოძის განცხადება, რომლითაც თიანეთის გზატკეცილის მაცხოვრებლების სახელით ითხოვს ქუჩას მიენიჭოს მომღერლის ლევან კბილაშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. შესწავლის პროცესში კონსულტაციები გაიმართა როგორც მომღერლის ოჯახის წევრებთან, ასევე ქუჩაზე მაცხოვრებელ მოქალაქეებთან.

ლევან კბილაშვილი იყო მომღერალი, რომელმაც თავისი სიცოცხლის ხანმოკლე პერიოდში, არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მას ჰქონდა დამახასიათებელი ხმის ტემბრი და საშემსრულებლო ტექნიკა .

ლევან კბილაშვილი სიცოცხლის განმავლობაში გლდანის რაიონში, თიანეთის გზატკეცილზე ცხოვრობდა. მისი მეზობლები ერთსულოვნად ითხოვენ ქუჩისთვის მომღერლის სახელის მინიჭებას. საკითხის შესწავლის შემდგომ დადგინდა, რომ დავით სარაჯიშვილის ქუჩასთან სოფელ გლდანის მისასვლელამდე არსებული გზა დაყოფილია რამდენიმე მონაკვეთად, კერძოდ: ქერჩის ქუჩა, თიანეთის გზატკეცილი, გრიგორ ორბელიანის ქუჩა. მოსახლეობის განცხადებით მონაკვეთი, რომლის ცვლილებაზეცაა საუბარი ესაზღვრება ქერჩის ქუჩას და ლოგიკურად სრულდება შოთა მიქატაძის ქუჩასთან არსებულ გზაჯვარედინთან. კომისიას ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია ხსენებული მონაკვეთისთვის სახელის გადარქმევა, ხოლო თიანეთის გზატკეცილი იქნება ის მონაკვეთი (შოთა მიქატაძის ქუჩიდან თიანეთის გზამდე), რომელიც უშუალოდ არის თიანეთის გზის გაგრძელება.

სახელის დარქმევის ნაწილში კომისია ითვალისწინებს მოქალაქეთა სურვილს და თვლის, რომ გლდანის რაიონში, თიანეთის გზატკეცილის მონაკვეთს მიენიჭოს მომღერლის ლევან კბილაშვილის ქუჩის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, თიანეთის გზატკეცილის მონაკვეთს მიენიჭოს მომღერლის ლევან კბილაშვილის ქუჩის სახელი.

36. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის შმაგი ხაიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე ანასტასია ხაიკაშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს 124-ე სკოლასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის შმაგი ხაიკაშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. შმაგი ხაიკაშვილი დაიბადა და გაიზარდა სამგორის რაიონში, ხსენებული სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ხსენებული სახელდების განხორციელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის შმაგი ხაიკაშვილის სახელი

ნინო ვარდოსანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე